ს.ს.ი.პ.

„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი"

ბრძანება

09. 03. 2011 №5/02

[სტუდენტთა 79-ე დია საერთაშორისო სამეცნიერო
კონფერენციის ჩატარების გეგმისა და
კონფერენციის წინა მოსამზადებელი ღონისძიებების შესახებ]

სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის
დეპარტამენტის უფროსის ბორის გითოლენდიას წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 79-ე დია ასერტაზორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების გეგმა შემდეგი რედაქციით:

1. კონფერენციის ჩატარების ფორმა:

1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 79-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეობის უფლება აქვთ როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმაღლესი პროფესიული სწავლების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის სწავლების საფეხურის სტუდენტებს;

1.2. კონფერენცია ტარდება ორ ეტაპად:
I ეტაპზე (კონფერენციის წინა მოსასმენი ეტაპი) ხდება სტუდენტთა მიერ შესაბამისი პროცედურის დაცვით (პუნქტი 1.4.) წარმოდგენილი ნაშრომების მოსმენა სექციების მიხედვით, რის შემდეგაც შესაბამისი სექციის ჟიურის მიერ გამოვლინდებიან ის სტუდენტები, რომლებიც კონფერენციის II ეტაპზე (ძირითადი, იგივე დასკვნითი ეტაპი) მიიღებენ მონაწილეობას;

1.3. უცხოეთის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები კონფერენციის II დასკვნით ეტაპზე დაიშვებიან კონკურსგარეშე;

1.4. კონფერენციის მონაწილე სტუდენტი ვალდებულია ნაშრომის ერთი ეგზემპლიარი წარადგინოს შესაბამის დეპარტამენტში (სექციაში) I ეტაპის დაწყებიდან მინიმუმ 5 დღით ადრე;

1.5. კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად ერთმა ხელმძღვანელმა არ შეიძლება მოამზადოს ხუთ სტუდენტზე მეტი;

1.6. კონფერენციის I ეტაპზე სტუდენტის მიერ საკუთარი ნაშრომის წარმოდგენის დრო განისაზღვრება მაქსიმუმ 30 წუთით, II ძირითად ეტაპზე კი – მაქსიმუმ 15 წუთით;

1.7. კონფერენციის პირველ და მეორე ეტაპებზე გამარჯვებული თემები გამოვლინდება სპეციალურად დაკომპლექტებული ჟიურის მიერ. ჟიურის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მინიმუმ იმდენი წევრი, რამდენი მიმართულებაცაა ამ დეპარტამენტში (თითოეული მიმართულებიდან მინიმუმ ერთი წევრი), ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად არის ჟიურის თავმჯდომარე და ერთი სტუდენტი, რომელსაც აქვს დამსწრის და არა შემფასებლის სტატუსი;

1.8. უმაღლესი პროფესიული სწავლების, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისათვის კონკურსი როგორც პირველ, ასევე II ეტაპზე ტარდება ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად;

1.9. კონფერენციის პირველ ეტაპზე მონაწილეობას ღებულობს იმდენი სტუდენტი, რამდენი განაცხადიც დარეგისტრირდება 1.4. პუნქტით განსაზღვრული პროცედურის დაცვით; კონფერენციის მეორე ეტაპზე მონაწილეობას ღებულობენ ის სტუდენტები (ერთ სექციაზე დოქტორანტურის მაქსიმუმ 10, მაგისტრატურისა და ბაკალვრიატის – 7, პროფესიული სწავლების – 5 სტუდენტი), რომლებიც წარმატებით გაივლიან I ეტაპს;

1.10. ნაშრომთა შეფასების კრიტერიუმები კონფერენციის I და II ეტაპებისთვის იდენტურია.

ნაშრომთა შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია:

1) ნაშრომის აქტუალურობა;
2) ნაშრომში დასმული საკითხის ავტორისეული გადაწყვეტა და დასკვნების დასაბუთება;
3) დისკუსია ჟიურის წევრთან;
4) მომხსენებლის გადმოცემის უნარი.

1.11. თითოეულ კრიტერიუმში მაქსიმალური შეფასება არის 10 ქულა. საბოლოო შედეგი გამოითვლება თითოეული კრიტერიუმის ქულათა ჯამური რაოდენობით. ერთნაირი ქულების შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სექციის ჟიური;

1.12. კონფერენციის II ეტაპზე თითოეულ სექციაში გამარჯვებული სტუდენტების რაოდენობა არ შეიძლება იყოს სამზე მეტი – ერთი I, ერთი II, ერთი III ადგილი (გამარჯვებულთა გამოვლენა ხდება სწავლების საფეხურების მიხედვით 1.8. და 1.9. პუნქტების შესაბამისად);

1.13. დეპარტამენტის (სექციის) ხელმძღვანელი ვალდებულია სექციის მუშაობის ანგარიში (ოქმი და დანართების ელექტრონული ვერსია) წარმოადგინოს სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტში – I ეტაპის (მოსმენის) დამთავრების შემდეგ მაქსიმუმ სამი დღის ვადაში, II ეტაპის დამთავრების შემდეგ – ორი დღის ვადაში.

2. კონფერენციაში მონაწილეობასთან დაკავშიებული ძირითადი თარიღები

2.1. კონფერენციაში მონაწილეობის მსურველ სტუდენტთა რეგისტრაცია სტუ-ს სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის საფაკულ-ტეტო დეპარტამენტში დაიწყოს 2011 წლის 10 მარტს და გაგრძელდეს 25 მარტის ჩათვლით;

2.2. კონფერენციის I ეტაპი დაიწყოს 2011 წლის 18 აპრილს (კონფერენციის გახსნა და სექციების მუშაობის დაწყება) და გაგრძელდეს 2011 წლის 23 აპრილამდე;

2.3. კონფერენციის II ეტაპი ჩატარდეს 2-10 მაისს;

2.4. კონფერენციაში გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართოს 2011 წლის 30 ივნისს.

3. კონფერენციის სამუშაო სექციები

დამტკიცდეს შემდეგი სექციები:

1. საინჟინრო მექანიკის;
2. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის;
3. ჰიდროსაინჟინრო;
4. ტელეკომუნიკაციის;
5. თბო და ჰიდრო ენერგეტიკის;
6. ელექტროენერგეტიკის, ელექტრონიკის და ელექტრომექანიკის;
7. საინჟინრო გეოდეზიის;
8. სამთო ტექნოლოგიის;
9. გეოლოგიის;
10. ნავთობის და გაზის ტექნოლოგიის;
11. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის;

12. მეტალურგიის, მასალათმცოდნეობის და ლითონების დამუშავების;
13. არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის (ურბანისტიკის);
14. არქიტექტურის საფუძვლების და თეორიის;
15. კომპიუტერული ინჟინერიის;
16. საინჟინრო კიბერნეტიკისა და ხელსაწყოთმშენებლობის;
17. ორგანიზაციული მართვის;
18. ფიზიკის;
19. მათემატიკის;
20. მანქანათმშენებლობის;
21. სატრანსპორტო;
22. საგზაო;
23. საინჟინრო გრაფიკის და ტექნიკური მექანიკის;
24. საზოგადოებრივი მეცნიერებების;
25. უცხო ენების და კომუნიკაციის;
26. ეკონომიკის და ბიზნესის მართვის;
27. სამართლის;
28. თეოლოგიის.

4. კონფერენციის ორგანიზება და მართვა

4.1. კონფერენციის მომზადება და ჩატარება დაევალოს სტუ-ს სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტს; აღნიშნულ დეპარტამენტს კონფერენციის ორგანიზებასთან დაკავშირებით დაეკისროს შემდეგი ფუნქციები:

ა) ფაკულტეტების დეკანატებთან და შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად ამტკიცებს კონფერენციის სექციების ჟიურის შემადგენლობას;
ბ) ახორციელებს მონიტორინგს კონფერენციის მიმდინარეობაზე;
გ) ორგანიზებას უწევს კონფერენციაში მონაწილე სტუდენტების თეზისების კრებულის, კონფერენციის პროგრამის გამოცემასა და გამარჯვებული სტუდენტებისათვსი დიპლომების დამზადებას;
დ) კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით უზრუნველყოფს სხვა საჭირო სამუშაოების შესრულებას.

4.2. ფაკულტეტის დეკანებმა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა ჩაატარონ საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები კონფერენციის მაღალ დონეზე ჩატარებისათვის და საქმიანობა წარმართონ თანახმად კონფერენციის ჩატარების გეგმისა:

- ფაკულტეტის დეკანებმა უზრუნველყონ თითოეულ დეპარტამენტში ერთი პასუხისმგებელი პირის გამოყოფა, რომელიც უზრუნველყოფს:

ა) ამ ბრძანების 1.4. პუნქტის მიხედვით სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების მიღებას;
ბ) კონფერენციის I და II ეტაპების სხდომათა ოქმისა და ოქმის დანართების ელექტრონული ვერსიების წარდგენას სტუ-ს სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის განყოფილებაში.

- დეპარტამენტები, თემის მოსამზადებლად შესაბამისი მითითებების მიცემის მიზნით უზრუნველყოფენ მიმართულებების მიხედვით ლექტორების მიმაგრებას იმ სტუდენტებზე, რომლებიც გამოთქვამენ კონფერენციაში მონაწილეობის სურვილს;

5. კონფერენციასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები

სამეცნიერო კონფერენციასთან დაკავშირებით განხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები: გამოიცემა კონფერენციის პროგრამა, გამარჯვებულ სტუდენტთა ნაშრომების თეზისების კრებული, ასევე კონფერენციაში გამარჯვებულ სტუდენტებს გადაეცეთ შესაბამისი დიპლომები.

დამტკიცდეს სექციების ჟიურის სამუშაო ინსტრუქცია (დანართი 1)

რექტორი	ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

რექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში	ზ. გასიტაშვილი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	ქ. ქოქრაშვილი
მეცნიერების დეპარტამენტის უფროსი	დ. თავხელიძე
სპორტის, კულტურის, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი	ბ. გითოლენდია
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი	ბ. მაისურაძე

სწორია: